

# ნაცნობი

ISSN 0132-6015

20 84


ნან. ჯ. ლომუხანი



ასე დიდებით მიჭერის და მოჭერის  
მარად მგზნებარე ალი ოქტომბრის.

გალაქტიონი

# 70 წლის ქაიხარო აბაშიძეს



სიყვარულით და აღერსით, გრიგოლ, გიწოდებ  
 გ მ ი რ გ ო ლ ს,  
 ჯ ა ჯ ვ ვ ა უ ს დ ე ლ ი ა მ შ ე ე ნ ე ბ ჩ ე ნ ი მ წ ე რ ლ ო ბ ი ს  
 დ ი დ გ ო რ ს,  
 ქ ა რ თ ვ ე ლ თ ა ა მ ა ლ ლ ე ბ ი ს თ ვ ი ს ი ბ რ ძ ვ ი,  
 ი ლ ვ ი და ფ ი ქ რ ო ბ,  
 ერთგულად ემსახურები შენს დიდ ერსა და დიდ დროს!  
 ტომეულებით, პოსტებით და ტიტულებით მდიდრობ,  
 არ დაგრჩა მიუღებელი თითქმის არც ერთი ჯილდო!  
 მსურს ენა, გული, გონება და ხელოვნება გიქო!  
 შენს თხზულებებში გვაღელვებს, გვხიბლავს, გვიტაცებს,  
 გ ვ ი ბ ყ რ ო ბ ს  
 აზრის და გრძნობის სიმაღლე, სიღრმე, სინათლე,  
 ს ი თ ბ ო ! ..  
 (ჯიგთახათუნის ჯადო აქვს შენს სატრფიალო სტრიქონს!)  
 არ ვიფიქრია არასდროს, - ვარდი უეკლოდ კრიფო,  
 შუბლს ამიტომაც, ნახევრად, ეკლის გვირგვინიც  
 გ ი მ კ ო ბ ს ! ..  
 მნატვრული ლიტერატურის უკლებლივ ყველა ჟანრი  
 თანაბრად ხელგეწიფება, შენი სტიქია არის!  
 ბუნებით რაინდს, მოწყალეს, ქველმოქმედს,  
 ა რ ი ს ტ ო კ რ ა ტ ს -  
 უღექსოდ სისხლი არ გინქეფს და ძარღვი არ გიტოკავს!..  
 ნარ ხალხთა ძმობის მეხოტბე, ღრმად გწამს და  
 მ ტ კ ი ც ე დ გ ჯ ე რ ა,  
 რომ თვალს ვერავე აგვიხვევს და ვერ ამოგვკვლევს  
 ე ნ ა ს ! ..  
 მშვიდად ცხოვრებას მშფოთვარედ ცხოვრება გიჯობს  
 რ ა დ გ ა ნ , -  
 შენ ქარიშხალთან დადექი, ზოგი რომ განზე გადგა!  
 სიტყვით და საქმით მფარველობ მშობლიურ ენას  
 ქ ა რ თ უ ლ ს !  
 ხარ, იყავი და იქნები მოქმელი და მქნელი მართლის!  
 არქმევ ყველას და ყველაფერს თავის უტყუარ  
 ს ა ხ ე ლ ს,  
 ... ამბობ სიავს ქართველისას!.. ჩვენს ცუდს არ მაღაუვ!..  
 ა მ ხ ე ლ ! ..  
 შენს შემართებას ეროვნულს და პატრიოტულ გზნებას  
 ცოტნეს სულში აქვს ფესვები, ცოტნეს გმირობა კვებავს!  
 ... გაწამებს ჩვენი წარსული!.. მწარე სიმართლით ხატავ -  
 მამულში ჩამდგარ დ ი დ ლ ა მ ე ს , ს ვ ე ნ წ კ ი ს ს ე ვ დ ი ა ნ  
 ზ ა მ თ ა რ ს ! ..  
 გზარავს ზარზმა და შატბერდი!.. ხანძთა გედება ხანძრად!..  
 გატირებს ტაო-კლარჯეთი და არტანუჯი გტანჯავს!..  
 სამივე დროში არსებობ!.. სამგან დაიდგი ტანტი!..  
 საქართველოსთვის შეთქმულებს კონტაგორაზეც ახლდი!..  
 კაცურკაცობით ანთიხარ, ყველგან სიკეთეს თესავ  
 და სათნოებით ანათებ დიდ ღამესაც და ღლეხაც!  
 ნიჭიერს აძლევ გზას ფართოს, გახარებს წინსვლა მისი,  
 უნიჭო თვითონ იპოვის ფართო გზას! - კარგად იცი!  
 გაუადვილე ბევრ დამწყებ მწერალს სიძნელე გზისა,  
 მათდამი შენი მოპყრობა სამაგალითოდ იქცა!  
 რედაქტორობდი ჟურნალებს - „ნიანგს“, „დროშას“ და  
 „მნათობს“!

სხვები არ ვიცი, „ნიანგი“ კვლავ რედაქტორად განტრობს!  
 ისე ფლობ სარკაზმს, სატირას, იუმორსა და გროტესკს, -  
 ხანდახან - უახლოვდება, ხანდახან - უსწრებ ვოლტერს!  
 უ ა ნ კ ა რ ე ს ი ქ ა რ თ უ ლ ი თ , ე ფ ე რ ე , უ ა ლ ე რ ს ე  
 და ექვს ავტორ-მთარგმნელად პეტეფის უკვდავ  
 ლ ე ქ ე ბ ს !  
 თაყვანს გცემენ და გლოცავენ ლეკვნი, დაზრდილნი  
 ა ლ გ ე თ ს ! ..  
 მრავალმა ერმა გაგიცნო, მრავალ ენაზე გთარგმნეს!  
 ძ ლ ე ვ ი ს ქ ე დ ი დ ა ნ გაპყურებ განვლილ დროსა და  
 მ ა ნ ძ ი ლ ს -  
 სახელგანთქმული მწერალი, ბაჯალლო ერისკაცი!  
 გირგია ოქროს ვენახი - ტკბილი მტევნებით საესე,  
 მზუნარევ ღვინოს აყენებ... და შენს მკითხველებს ასმევ!  
 გიდგას წყნეთსა და თბილისში ო რ ი ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა  
 ს ა ხ ლ ი ,  
 ერთი მუდმივი ბინაც გაქვს... გ უ ლ შ ი ქ ა რ თ ვ ე ლ ი  
 ხ ა ლ ხ ი ს !

სასპრემიების კომიტეტს უძღვები თავმჯდომარედ და რუსთაველის პრემიაც მანდვე მიიღე ბარემ!  
 ოთხმოცის როცა გახდები, მე შევაგროვებ შენთვის ყველა სახოტბო ეპითეტს! ახლა კი დავსვამ წერტილს.

ზაურ გომბოლაძე

# შენი მშვიდობისთვის მშვიდობიანი

ქართული  
ბიბლიოთეკა

დავეკონებით დედოზარს –  
თბილისქალაქობს თბილისი,  
თვალი და გული ქართველთა  
(ღვიძლი რომ არის იმისი!)  
ახალაღნაგი, ალალი,  
ჩამთბარი ძველი თილისმით.



შენი გარჯა გამარჯვებით  
გვირგვინდება ნება-ნება,  
ცდილობ რაკი, – გაძლიერებს  
წლიდან წლამდე შეჯიბრება,  
სხვებს არ ჰგავხარ, სული ყელში  
არასოდეს გებჯინება!

დღეგრძელი ხარ, აფხაზეთო,  
ბერიკაციც ცეკვავს მშვიდი,  
ვით ქუნცურო წერწეტ სიმინდს,  
ისე შვენის ოსებს „სიმდი“,  
აჭარელი მაჭარია, –  
მოზიდულა, როგორც მშვილდი!

ძალა თავზევით იკრიბა, –  
თავქვევით რაკი თავქვევა,  
მეტეტთან გვიხმობს ვახტანგი  
(მტკვარი, ვით უწინ, აქვეა) –  
დღეს საპატიო, თბილისის  
პირველი მოქალაქეა!



აგაჩუქურთმეს, ჩაგლექსეს,  
არ დანდობიხარ ალაღბედს,  
გშვენის და კიდევ მოიქნევ  
ალავერდიან ალავერდს,  
ტივი მეტივეს დაურჩა,  
და მტკვრის ტალღებზე ალაღბებს!

ვთვალე, მაგრამ ვერ დავთვალე,  
სათვალავი ამერია,  
მთა და ბარი, ზღვა და ხმელი –  
იმერია, ამერია,  
მარაქაში, რომ იტყვიან,  
ამ დღეს ყველა გაერია!

აბანოები ჭრელ-ჭრელი,  
ჯანის და ტანის ტალ-კვესი,  
ნარიყალას ვინ გარიყავს,  
სხვა ტკივილია, სხვა ლექსი!..  
ზეადმართულა მთაწმინდა, –  
ჩვენი კაცობის სალესი!



დამთავრებით არ მთავრდება,  
დაწყებით კი დაიწყება,  
ღვინო გინდა – არ ისმევა?  
მწვადი გინდა – არ იწვება?  
(თავი თუ გაქვს, იოლია  
მერე იმის დავიწყება).

სანახევროდ ცხადად მოჩანს,  
სანახევროდ – ზღაპარია,  
ქართველის დედა – ვისი სხივიც  
ლამპიონი-ლამპარია, –  
ერთგული ვინც იყო, – დარჩა!  
არ სჭირდება ლატარია!

შემოდგომა ტიკნის ტიკებს,  
ქვევრებს უფრო დაასივებს,  
ვინ დაგიდევს ან მოწვევას,  
ან პროგრამას, ანდა სიებს?!  
ცალფად, ასფად, წყება-წყება  
მოჯარდნენ და მოესივნენ!



ათ ძმას, ანუ ათ რაიონს  
ულოცავენ გამორჩევით,  
ძველქართულიც გაიხსენეს:  
ზოგან სტივრით, ზოგან ჩელით,  
მილიონი თვალი დამზერს  
სად და როგორ გამოვჩნდებით!

შენს გრილ ძარღვებს – მეტროს  
ვაკსებთ,  
ვუყიყინებთ შენს მიმინოს,  
ლამის მთელი საქართველო  
ფიანდაზად დაგეფინოს,  
მაგ თბილისურ, ნანატრ ღიმლი  
გვატან, როგორც ნაკურთხ  
მირონს!

ქვენა ზრახვა რას მიქვია,  
გეჯავრება ქვენა ქარღვი!  
სტუმარი ღვთის ადრე იყო,  
დღეს შენია, საკუთარი!  
სად წავივა, ცალი თვალი,  
ანდა ყური თუ მოჰკარი!..




საქორწილო ლოცვას აღვლენ, –  
ფუძე უფრო მომაგრდება,  
რომ იტყვიან, ხალხის ზღვაა,  
მაინც გინდა მომატება,  
იცი მარადქართველური  
სიყვარულიც, მონატრებაც!

**ზაზა კაციაშვილი**




ქაბის რაიონში გაცხარებით მიმდინარეობს კერძო სახლების მშენებლობა. სოფელ ოკამის მკვიდრმა გ. თვაურმა სახლი აიშენა პირდაპირ მდინარე ქანის კალაპოტში.

ნახ. ბ. ლომიძის



ქსნელი „არგონავტი“

ქასპელმა ს. გზირიშვილმა „უკანონოდ“ აიშენა 190 კვ. მეტ. ფართობის სახლი, ნაცვლად 62 კვ. მეტრი ფართობისა.



კერძომეხაკუთრობის ჩრდილში

# მეჩივნი

## წალაბონი

— საღამო მშვიდობისა, პატივცემულო ნინავო! ხომ მიცანით?  
 — გიცანით, გიცანით! კაი ხნის დაღამებულია და საკმაოდ დაღლილიც ვარ, მაგრამ ხმით გიცანით. გუმანით ვხვდები, თქვენ იმ საუბრის გაგრძელება გსურთ, ამას წინათ ბავშვებისათვის გათვალისწინებული ტანსაცმლისა და სათამაშოების დამამხინჯებლების გამათრახების დროს რომ შეგპირდით! ასეა ხომ?  
 — დიას, დიას, მართალი ბრძანდებით! ძალიან გთხოვთ თქვენებური გულისწყრომით ჩამოაჭიკჭიკოთ ქალიშვილების, ჭაბუკების, ქალებისა და მამაკაცებისათვის გათვალისწინებული ჩასაცმელ-დასახურის ხარისხის ავ-კარგიც: როგორია იგი, რამდენად აკმაყოფილებს უსაშუალოდ გემოვნებაამდლებული თანამედროვე მომხმარებლის მოთხოვნილებას?  
 — რაღა თქმა უნდა, ცუდად, ძალიან ცუდად!.. იოტისოდენადაც არ შეეცდები, თუ ვიტყვი, რომ ჯერჯერობით ქართული წარმოების ამა თუ იმ ბოჭკოს ფართლელის, ტანსაცმლის, ფეხსაცმლისა თუ ცელობრივი საფეიქრო გალანტიერიის ნაწარმის ვერც ერთ სახეობას ვერ მოჰკრავთ თვალს საცალო ვაჭრობის ფართო ქსელში, რომელზეც ისეთი მოთხოვნილება იყოს, ნებისმიერი დასახელებისა და მოხმარების იმპორტულ საქონელზე რომ არის ყველაგან (ქალაქად თუ სოფლად) და ყოველ დროს (გაზაფხულზე, ზაფხულში, შემოდგომაზე თუ ზამთარში).  
 — ვე ყველასათვის კარგად ცნობილი ამბავია! თქვენ ის ბრძანეთ: ყველა სამინისტროსა და უწყებისადმი დაქვემდებარებული საწარმოს მიერ გამოშვებული პროდუქცია ერთნაირად უვარგისი, წყალში გადასაყრელია?  
 — საქმე მთლად აგრე არაა, მაგრამ ბევრი, მართლაც რომ, წყალში გადასაყრელია! ამის დასტურია საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს სახალხო მოხმარების საქონლის ხარისხისა და ვაჭრობის სახელმწიფო ინსპექციის მთავარი სამმართველოს 1983 წლისა და მიმდინარე წლის პირველი კვარტალის შემოწმების აღმაშფოთებელი და ძნელად დასაჯერებელი შედეგები.  
 ასპროცენტთან წუნისმკეთებელთაგან საქვეყნოდ გამოჭენებას უყოყმანოდ იმსახურებენ საქადგილმრეწველობის სამინისტროს მარნეულის რაისამრეწველო კომბინატის ვაი-მეჭურქეები, ბორჯომისა და ქარელის რაისამრეწველო კომბინატების, აფხაზეთის ადგილმრეწველობის სამინისტროს გულრიფშის რაისამრეწველო კომბინატის ვაი-მკერავები (მართალია, ეს კომბინატი ზემოაღნიშნულ კომბინატებს 5,2 პროცენტით „ჩამორჩა“, ჭმის თავს უფლებას ვაძლევს: ისიც „ასიანთა“ გვერდით დავაყენო), თბილისის ფიჭულტურისა და ჰორტის საწარმოო კომბინატის ვითომ მეგალანტიერები და აჭარის ასსრ სოცურწველყოფის სამინისტროს ბათუმის სასწავლო საწარმოს მეჯღანები!  
 თუ სსრკ სახსტანდარტის კომიტეტის საქართველოს რესპუბლიკური სამმართველოს მიმდინარე წლის პირველი კვარტალის შემოწმების მასალებით ვიმჯელებთ, ზემოაღნიშნული კომბინატების უბად-



რუკ მეწარმეებს (უფრო სწორად, ოქრო ნედლეულის გამფუჭებლებს) ანუ, როგორც მე შევარქვი, „ასიანთა“ სამარცხვინო ჯგუფს ცოტნე დადიანისებური ერთგულებით მტკიცედ უდგანან მხარში საქართველოს სსრ საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს გაერთიანება „თბილისდკერვის“, აგრეთვე აფხაზეთის ასსრ საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს ოჩამჩირის კომბინატის მკერავები, რომლებიც სამკერვალო ნაწარმს ყოველგვარი დამტკიცებული ტექნიკური დოკუმენტაციის გარეშე კერავენ, რაც წყლის ძალად ამღვრევას ნიშნავს. ამღვრეულ წყალს ვისთვის რა სარგებლობა მოაქვს, ადამის უამიდან ცნობილი ამბავია და აღარ გავიმეორებ. დიას,

სათანალო კვალიფიკაციით შედგენილი და საერთო წესით დამტკიცებული ტექნიკური დოკუმენტაციის გარეშე რაიმე ნაწარმის შეკერვა-დამზადება ჩვენში, გარდა ოჯახური მკერავიჭა, არავის ეპატიება!..

შემოწმებით გამოვლენილია სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს თბილისის ბეწვეულის ნაწარმის ფაბრიკის უსულგულო მუშაობაც. იგი მამაკაცის ყოველად უვარგისი ჟილეტების გამოშვებისათვის სამარცხვინო „ასიანთა“ არმიის წვერი ზომ არის და არის, ამასთან ერთად უამრავი საჯარო საწინააღმდეგავი აქვს წარდგენილი უხარისხო ბეწვეული საქონლის დამზადებისათვის.

როგორც ჩვენი განახლებული საუბრის დასაწყისშივე აღვნიშნე, ხეირანი, ანუ სახალხო მოხმარების უზალო საქონლის გამოშვების მხრივ ყველა საწარმო მეტ-ნაკლებად სცოდავს და მათმა უბრალო ჩამოთვლამაც რომ შორს არ წავიყვანოს, სამარცხვინოებს შორის დავასახელებ საქადგილმრეწველობის სამინისტროს წითელწყაროს, თეთრი წყაროს, თბილისის მრავალდარგოვან, თიანეთის რაისამრეწველო კომბინატებსა და ცეკავშირის სოხუმის საწარმოო კომბინატს, რომლებსაც ზემოაღნიშნულმა შემოწმებებმა 40 პროცენტზე მეტი წუნიანი პროდუქცია აღმოუჩინეს!..

— კიდევ ერთი რამ მინდა გკითხო: ამბობენ, სახალხო მოხმარების საქონლის ხარისხის გაუარესებას სავაჭრო, ანუ გამსაღებელი ბაზების კონტროლის შესუსტებაც უწყობსო ხელს. როგორია თქვენი აზრი ამ საკითხზე?

— დიან, სახალხო მოხმარების საქონლის ხარისხის დაქვეითების ერთ-ერთი და, მე ვიტყვოდი, მთავარი მიზეზი, მართლაც, სავაჭრო



მძინი: უანგბადი!  
— იმპორტულია?



ბაზების მუშაკთა უსუსური მუშაობაა. ისინი რომ თავიანთ მოვალეობას პირნათლად ასრულებდნენ, მაღაზიების დახლებსა და საწყობებში უხარისხო საქონელი აღარ დახვავდებოდა!..

სათანალო ინფორმაციის უქონლობის გამო ვერ ვიტყვი, ყველა სავაჭრო ბაზა ცუდად მუშაობს-მეთქი, მაგრამ ცეკავშირის სისტემის გურჯაანის, წნორის, გორის, ახალციხის, ქუთაისისა და სამტრედიის საბითუმო სავაჭრო ბაზების მეტისმეტად ცუდი მუშაობა სსრკ სახს-ტანდარტის საქართველოს რესპუბლიკური სამმართველოს მასალებზე თვალის ერთი გადავლებით დასტურდება.


— თუ შეიძლება, იხივ გვითხარით: რა არის საჭირო თანამედროვე ადამიანის გემოვნების შესაფერისი სახალხო მოხმარების საქონლის დამზადების უზრუნველსაყოფად?

— თანამედროვე ადამიანის გემოვნების შესაფერისი ჩასაცმელ-დასახურის დამზადების უზრუნველსაყოფად საჭიროა პასუხისმგებლობის გრძობადაკარგულ, ანუ გამოუსწორებელ წუნისმკეთებელთა ვირის აბანოში შებრძანება, რომელიც მათ სახელმწიფოს მიერ დიდი ხნის წინათ დაწესებული კანონით ეკუთვნით და დღემდე რატომღაც ვერ „სარგებლობენ“. პო, მართლა... წინა საუბარში საბავშვო საქონლის წუნისმკეთებლებისადმი მიცემულ ჩემს ბრძანულ რჩევა-დარიგებას ძალაში ვტოვებ და ვთხოვ მოქალაქეთა შესამოსავად „დამაშვრალ“ მეწარმეებსაც, წუნიანი პროდუქციის იარღიყებს რაც შეიძლება მალე მიუმატონ წარწერა: „**ნუ ჩაიხვამთ, დაგაგასინ-ჯაპი!**“


ახლა კი საუბარი დავასრულოთ, თორემ ერთ საქმეზე საუბრის გადაყოლამ სხვა საქმეების გადაყოლა იცის! ნახვამდის!

— ნახვამდის! გმადლობთ ასეთი გულწრფელი და ფრიად ხაჭირო საუბრისათვის!

ნიანგს ესაუბრა შიო გუნჯელი  
ილუსტრაციები ჯ. ლოლუასი



უსიტყვოდ



როსან ბოროდი (ხაფრატეა)

შეხვეტი

იხსოვრება ვაჭარების მიმოქრობის კვირის დღის ღიაღობის პირველადი, რომელსაც ვერ კიდევ არ ეწეოდა იგი, მშენებლის ფუნქციონირების...



საქართველოს მინისტრთა საბჭოს ინიციატივით

ახალი შეკრებილი მუხლები... შესანიშნავი საშუალებაა გამოკლებიან გან თავის დასაცავად... შესანიშნავი საშუალებაა წვიმის ფსიქოპათოლოგიის დასაცავად...

მედიკალინური პატარა ადამიანი და მის მშობელს ამოცანები



ბავშვთა მკურნალობის მეთოდები

პატარა ბავშვის კარგად მოვლა უნდა იყოს მშობლის პირველი პირობა... ბავშვის მკურნალობის მეთოდები უნდა იყოს მშობლის პირველი პირობა...

საბავშვო მკურნალობის მეთოდები

ბავშვის მკურნაობის მეთოდები უნდა იყოს მშობლის პირველი პირობა... ბავშვის მკურნალობის მეთოდები უნდა იყოს მშობლის პირველი პირობა...

„თუ საშუალო სიდიდის მცენარეები და მცენარეები მიზანმიმართულად გამოიყენება, ეს მხოლოდ იმ შემთხვევაშია, როდესაც მათი ბარკები სიცილის შედგენა, რომელიც იგი თავის არსებობაში ატარებს...“

ინფორმაციის მნიშვნელობა... ინფორმაციის მნიშვნელობა... ინფორმაციის მნიშვნელობა... ინფორმაციის მნიშვნელობა...

საქართველოს მინისტრთა საბჭოს ინიციატივით... საბავშვო მკურნალობის მეთოდები... საბავშვო მკურნალობის მეთოდები...

საბავშვო მკურნალობის მეთოდები... საბავშვო მკურნალობის მეთოდები... საბავშვო მკურნალობის მეთოდები...



საბავშვო მკურნალობის მეთოდები... საბავშვო მკურნალობის მეთოდები... საბავშვო მკურნალობის მეთოდები...

საბავშვო მკურნალობის მეთოდები... საბავშვო მკურნალობის მეთოდები... საბავშვო მკურნალობის მეთოდები...

საბავშვო მკურნალობის მეთოდები... საბავშვო მკურნალობის მეთოდები... საბავშვო მკურნალობის მეთოდები... საბავშვო მკურნალობის მეთოდები...

**სამთავიანი ურჩხული ეგებება და გზაჯვარედინებზე**

დიდი ხანია, სძლია ურჩხულებს ადამიანმა მძღვარი გზებზე; დიდმა კოხალმა და ამირანმა მოსხეს დევეები და დრაკონები. მაგრამ დღია ჩვენი ციხილი, დარჩა ურჩხული სამთავიანი: მერდო, თამბაქო და ალკოჰოლი — ვეღარ ერება ადამიანი! ჩვენ არ გვჭირდება მათთან მოუვრობა, მაგრამ არიან მოხალისეები... დიდებმა მურხანდს, განწირულებმა ამ პილირისაგან რომ დაიხსენი! შენი იმ სიბრწინის ხმას რომ არ უსმენ, სხვა განსაცდელი მოგელს დიდი — სამთავიანი ურჩხულის მოჩაღბს ვერას გიშვდის მერკაღებს მითი! ო, როგორ ვარწყვს ციხის ბურანში თამბაქოს ზოლი — კიბის აკვანი! ვით იდრეიბენ მორღოს ბურანში სვედანავსული მოკვდავანია! საუკეს ბახუნი რომ მიწოდება, სადებს წაეფუცანს, ო ვანიცხული

გაზეთში წერენ ამას უცვილდელი — ცუდია, ვაჭეთს რომ არ კითხულობს! განა გვაკლია ვარკა და მხვერალი? — გეშუსრავდა შაი, ჭირი და დვარი... შენვე ხარ შენია მშობელია მტერი?! ეშაქს შენ უნდა ვაფლო კარი?! თუ ზურგს შეჰქცევი, ის უღლურია, თავსაც დააღწევი შირსა და ზაფრას, მაგრამ თუ ერთხელ შემოგვარა, შენსავე სულში გავთობრის სულაგს! დაბ, გზებსა და გზაჯვარედინებს წუ ჩაგვებრამავს ჩონჩხი, ურჩხული! შხამის მორეგში წუ ჩახიხრობა მოსუე მემინავი და მოყრენჩხული! არ ვააყარით საუკეს ბახუნი — გიფი, მაცდურა, მკვდელს რომ ედრება!

მოსხეთ ურჩხული სამთავიანი — აი, ეს არის ჩვენი ვედრება! აბაქი ბელოშანი

**სერგო ხაკუილაქის „გვიკოგე“**

1984 წლის ივნისის ერთ მზიან დღს აღვიწვლი სერგო ხაკუილაქი სამსახურში მიიდა გზაზე ფარულად და ასეთი უცნაური წყევლი: გვერდის აქი, ადვილნი გზაზე, ასეთი დიდი სისწრაფით გამსახარი, შენსილა, გვიღმ ვაფაგბტენე იემი „ავტოლა“ და დაბაზირე, ყველა ზღვრული, იფიკა, იფიკა, მაგამ შეგვენი ვერაფერი ვახსენა და კრახული შეგვერია: ვეღარ ვიხსენებ, ბატონო სერგო, მაგრამ საცემ რა გვახვავთ?! — რა დამ — შირსანება ვარია ხანში სერგო ხაკუილაქი, — ხომ ხედავ, ფხვილი მოვიდი, ჩემი მანქანა თუ არ ვაქციალება, მე ვიცო ჩასაც ვიხსი! — იგივე ის ფერი ვაქციალი, რის ჩაღვებს ამირანსა. ვარულა დათმამდე ხარწოვებს, აბო ჩემი მანქანით წავაფარე სხლში, სამწუროს დამოკრებენ, შემდეგ ამოვიდი და თუ მართლა მე ვარ მართლ იფიკა მანქანის დამბახეხისა, ვიხლავთი გზაზე ფარულად ამხანაგს სხლთა, ბატონო სერგო, სხლში წავაფარე ჩემი მანქანით და უნაღვე უკან დაბრუნდითი ამხანაგმა ათავია სერგო აფიკენში, სტალინის ქუჩაზე, უკან მალე დაბრუნდა, მაგრამ... უმანქანოდ და გულგრაზობა მღვის უბანში გზაზე ფარულად, სერგო ხაკუილაქი ნაქაბით გამოიქცა და მანქანა თავისი სახლს წინ დატოვებინაო. ატონმანქანა აფიკელ“ ვენდი ფარულად წინაღობითი სქივია სახლშია ადვილნი ჩაიბრის სოფელი ვარსაში მცხოვრებ იფიკაზე და მანქანა დატოვდა, და გულს შემოეფარა, სტეპი მანქანის არაფერი აქცეხისო. სერგო კი ამ დროს ავ ზიკვენს გეგმავდა, მიიფა თუ არა მას გენდი ფარულად, მანქანა დამბრუნეო, სერგო ზურგს უკან მიმალული ნაქაბი ამირანა და ფარულადაც გამოიქცა, რიგგადაც თავს უწველა, მაგრამ „დიდებმა“ ვეღარ უწველა თავს და, მიიფა და მიიფა სერგო ნაქაბით... ირგვლივ რომ შემოივარა მანქანის და დამბახეხის, მერე კამბო მანქანა და ირრრრრ დატოვდა მანქანის ზურგს, ფარულად, რიგგადაც კარგოდა. არ გამოიჩინა არც ფარული, არც დედასივრცეები და არც მითი. „ავტოლა“ მშობლივ ერთხელ ამოვიქცევი, ჩოქი სერგოვმ სასუქი დატოვდა ნაქაბი... აბო დატოვდა „ავტოლა“ ადვილნი ჩაიბრისაის წინ დგას, ხოლო სერგო ხაკუილაქი სახატოროში ხის.

სწამთხმა: სერგო ხაკუილაქის მერ დაწახებული „ავტოლა“



ს. ზ. ლომიძის

**გვერდინი**



— ჩაუფი, ხანამ არ გადმოიფერება!

**მეხანის მასხარების მ-4 ბ მძირობაშიონდანი**

როცა ვიფავე მუშობავარი, ვასწორებდი მთებს და გორებს, კორპუსებს შენებისთვის არ ვზოგავდი მალს და ლონეს.



მერე ასე მიმატოვეს, ღია ცის ქვეშ დავრჩი ოზლად, დავემსგავებე უკაპიტრო მტოვებულ დამწვარი ხომაღლს.

მთელი წელი ველოდები ბატონს, აბო ვინმე ქომაგს, წარისათვის ნუ გეშორავაო, თხოვნას ვითვლით უკვლას.

თან ვუბარებ ჩემს „კოლეგებს“, მითი წმინდა ვილი არის, დაე, მოკლენენ შრომის ფრონტზე, არა ჩემებრ ეანგიანი!

ჩივილი მოხმინა ივანე ოსნებარევილი

ს. ზ. ლომიძის



— მძღლის წინაფი ჩამოართვის, ვერ აიტანა და საბურავს დააგორებს!

**მთვრალი გეგულის ალხარება**

შეშოვეფარე იმხანტოროს, საზღვარსა მუხანინასა. პატარაღლს მიეჭიოლებდი, მიმეფადა სიღვრისასა. გამომეჭიდა წყევლი, მგავდა ჩიხვანას ციხასა. ცილი ჩამოვსეი, ვფხვარო: — „შენ ჩაღას ვერჩი იასა, ჩამოვიტოვებ ხაღვე და აქ მოვბარუნდები დღესასა!“ ცალში ჩამოვსეი სმოვალა, მტრეოფი მსაფედა ვერჩი, მერწმუნეო, ვეღარეოფი ხარათაშვილის მერჩი.

ახე კარვა ხანს ვიარეო, მერე გზა რიად ვაფეო, ვადეაფარინდიო ხეიარებს და, ვოვლას თქმისა არ იფოს, სულ მიემატეჩიოეო, მიეღვეწეო — ერთიოფირობის ძაგებით იმან თავისი სმოვალა, მე — ჩემი „ვოლა“ ნაქები, მერე, როგორც ახალი, მზინავი, შევი ტრისასა. აქეო მე ვაღვედა, იფიო — ის, ქალი წაეფადა სხვინასა.

ღამან მახმუდოვილი



ს. ზ. ლომიძის

— აქ ახალი ავტოსადგომი გახსნეს! — არა, გაკვეთილები მთავრდება.

# ავტოკალენდოსკოვი

ლთოზის, უდის ცეკლიანობისა და უფრადებობის შედეგად ჩესტუბლიკის საავტომობილო გზებზე და ქუჩებში, მუხედვად განსორტირებული მიწის რიგი პროფილაქტიკური ღონისძიებებისა, კვლავ და კვლავ ზედნა ავარები, რასაც, რა თქმა უნდა, მეტად საფალოდ შედეგები მოჰყვება.

**23 ივნისი**, შუაღამის ას ქ. ქობულეთში, ღენინის ქუჩაზე საკუთარი ავტომანქანა „ვიკული“ ასეთი ზიგზაგებით მიმავდა ქობულეთის მეტროსადგომის ფაბრიკის მოავარ ინჟინერის ანტონ სილაბაძის, თითქმის ქუჩაში გამოდენილ ქაობებს ფერ-მისაყენ შვირეუბას... და მარცხენ მართვად გადახვევისას, თავის გზაზე მომავალ უცხო და „ქათამს“ — ავტომანქანის სულ აქმა-აქმის მახლობლად შეესკდა...

არ იცის ღენიმ „მარკენა-მარკენა“, სამავთროდ დაფორტების არცაე ნივთიუდად იცის და ფსიქოლოგიურ-ლიბრელო გადახვევებზეც ღენისაგან დატოვნივად ქველდა ანტონ სილაბაძე, რომელსაც ავტომანქანა ქითმად შვირედა, ამ შვირეებისას შიშველად დაშავდა და საქმეც ვეარჩინა და გარდაიცვალა.


**28 ივნისი** 70 მარტიანი „ტრამპლინიდან“ ამამე ღღმს, ხულოს რაიონში, ბათუმი — ახალციხის გზის 92-ე კილომეტრზე, ერთ-ერთ მოსახვევში, ზესტაფონის №2 სატვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმოს თვითმკვლელობის მძღობი მერაბ ჩიტორკლიძე დიდი სიჩქარით შევარდა და 70 მეტრი სიმაღლის „ტრამპლინიდან“ ჩიტვიით გადაფრინდა ხრამში... მართალია, ჩიტორკლიძე ჩადაც განვებით ვადარნა, მაგრამ მისი თვითმკვლელობიდან ადარაფერი არ დარჩა...

**28 ივნისი**, ცხინვალ — ზაგურის გზაზე ცხინვალში მდინარე მდინარეში თავისი „ვიკული“ მანქანის მანქანაზე იტოვებდა უკან. არავინ იცის, მოსაფლტებული გზა მოსწონდა მამამტრად მქროლავ მამიტოვს თუ თავისი „ვიკულის“ გამოწვიობა, მაგრამ ერთ-ერთ მოსახვევში თევზებით რომ ამოტრიალდა და თვალები უშვილად გადახარიალა, ადარც უკა მოეწონა და ადარც თავისი დამსხვრეული „ვიკული“.

მეზარე ალიბ ნაზობარბიანი, რომელიც ვეარდი იქდა, მძღობედ დაშავდა და საავადმყოფოში შეყვანის მეორე დღეს გარდაიცვალა...

ხუმრობდა იქით იყოს და, ხუმრობით არც მანქანებს ამტყობენ და არც ხრამში ფრინოს რეკორდებს ამყარებენ. ეს საქმე კომპანირებული გადაღობის რეგისტრაცია და კასადიორების მივანდობით. ასეთ მძიშ შედეგებს რომ უდისციპლინობა, ვილაყის იმედი და ღენიო განსაზღვრების, უღიგნებარული ჰემოტივება და ეს ვილა მძღობდა კარგად უნდა იცოდეს!

არაბაზდომ გაბაღვან



## დასასუკიკუბლი ღოთაბი სკაქასთარ

- „ნიანგი“ ამქვარდ გორის რაიონში** ზვიდა სხელმწიფი ავტოსატრანსპორტის „სასტორი“ წილებს მანქანებზე, მძღობდა კომისიისთან ერთად, რათა „მედიან“ მუფრზე გადაქარებულეული ვანქა“ და სამქვერდ ნიშანი გადაყვა სკეხთან ღოთისაში გამოწენილი მძღობებისათვის. აა, ისინი:
- მღაღიზარ ალაღიზარის ამ ბავაბიზვილი** — ქ. ვარში მცხოვრები, სოფ. სოფლის სახული სკილის მანქანებზე;
- ბარბელ სარბოს ამ ღოთაზვილი** — გორის რაიონის სოფ. შერაღულიში მცხოვრები, შეყვების სასკოლა მუერნების მუშა;
- მისი ალაღაზარის ამ ზუაღაზვილი** — მეჭარბევის მუერნელების ფაბრიკის დასახლებაში მცხოვრები მეჭარბევის მუერნელების ფაბრიკის მეჭარბევი;
- მღაღო პარღოს ამ სავიბაზვილი** — გორის რაიონის სოფ. კარღულიში მცხოვრები, კარღულის სასკოლა მუერნების მუშა;
- მია პასბაზვის ამ ბაბაღლი** — სოფ. ბავაავის მცხოვრები, ბავაავის კოლმუერნების მძღობი;
- მერაბ ღაღაღის ამ ბიბიღაზვილი** — გორის რაიონის სოფ. კარღულიში მცხოვრები, სოფ. გარქვარის შერეული მღაღის ვანქა;
- მირიმი რავავის ამ ბაშღაზვილი** — გორის რაიონის სოფ. სკრის მცხოვრები, სკრის საცდლა საღვთის ბრავადიარ;
- მალაზ მირიმი ამ ხაბაღაზვილი** — გორის რაიონის სოფ. ხვენიში მცხოვრები, ტრტუ „მტკარმწენის“ ას-ს მძღობი;
- ალაღაი მისიღოს ამ მისიღოსი** — ქ. ვარში, მუღაღისას ქ. №25-ა სახლი მცხოვრები, გორის ექსპერიმენტული მუერნების ტექნიკის ინჟინერი;
- თისფარას პასბაზვის ამ თვალაზვილი** — გორის რაიონის სოფ. შენღისში მცხოვრები, გორის რაიონის სფინსში ვანქაღღობის ინჟინერი;
- თისფარი რიკარის ამ ბაშღაზვილი** — გორის რაიონის სოფ. ტარბინში მცხოვრები, გორის სახელი წილებს ინჟინერი.



— თქვენ, ამხანაგი მოტრალი ხართ!  
— ორივე მეგ აწრისა ხართ!

## მოგახიკვა

ამას წინათ სამხატვრო ფონდიდან გაიტაცეს ადგილობრივი მხატვრის მალიაროვის ტილო — „ოსტატი იქსი „რასპრედვალის“ დაყენების დროს“.

როგორც ამ საქმეზე წარმოებულმა გამოძიებამ დაადგინა, მოტაცების მიზეზი მარაგანწილების უკმარისობა იყო.

„ლიბრატურანიბა გაზიბა“

## ელექტროსული კონსტია

მე ათასი ლიონელი ავტომობილისტი, რომელთაც გასულ წელს უნდად ღარდვეს საჯარო მოძრაობის წესები, არ ელოდნენ თუ ასე გაუღიგებდათ ბედი, რომ ისინი გათავისუფლებოდნენ ქარიზის გადახდისაგან. როგორც მოუნებნის ვაზეთი „ზიუღდოარეც კარტუნე“ იუწყობს, ლიონის პოლიციის სამმართველოში დადგნული კომპიუტერი, რომლის ელექტროსულ მესხიერებაში ინახებოდა დამრღვევთა ავტომანქანების ნომრები, დაზიანდა და ერთმანეთში აურიო მონაცემები. ამის შედეგად ამ ავტომობილებმა, რომელთაც არავითარი უსამოყვება არა ჰქონიათ პოლიციასთან, დიდი თანხის ქარიზების გადასახდელი ქვითრები მიიღეს, ხოლო დამრღვევები „დისციპლინაინების“ თანრიგში მოხვედნენ. აღწოდებული ლიონელები რამდენიმე კვირის განმავლობაში რეკავდნენ პოლიციის სამმართველოში, ზოგმა სასამართლოსაც ემომართა. ბოლოს და ბოლოს ოფიციალურად გამოცხადდა, რომ ყველა ქარიზი, როგორც საპარტიანი, ასევე უსამართლო, გაუქმებულია.

ბავატი „ზა რუბაღომ-“

**გ ა ნ ც ხ ა დ ი მ ა**

მნიშვნული გვაქვს უახლესი ტიპის „ნიანგი“ ავტომობილებს ურავლებს ურავლებს ურავლებს გაიკეთეთ სმენის აპარატები და შეუშვით მაგ უტრებში, რომ ქალაქში ავტომობილია მხოლოდ სიგნლების მიტება!

## „ნიანგს“ უკასუბავნ

გუგამების „ნიანგი გვაქვარდენ გზებზე“ გასული წლის მე-3 ნომერში დაიბეჭდა ტრიბუნის წერილი „ჩაქვი“, რომელშიაც აღინიშნული იყო, რომ თბილისში, ღოთისის ქუჩის მე-9 და მე-18 კორპუსებში მცხოვრებმა ზოგიერთმა მოზინადრენ უნებართვოდ, თვითნებურად, რკინის ქაქვითა და ბოტებით შემოღობეს ეზოს მწვანე ტერიტორია, რაც იერსახეს უკარგავს ამ კორპუსების წინ მდებარე სკოლის, ბავშვების სკოლისა და ადგილი აღარ დარჩათ.

აღინიშნულ წერილთან დაკავშირებით თბილისის სახალხო დემოკრატიის სახელმძღვანელო რაიონმსკომიდან გვიხატეს: წერილიში მოყვანილი ფაქტები სინამდვილე. დღისათვის ჩვენს შვირე ამ უზოტში შემოღობვები მოხსნილი და გაუქმებულია. ამასთან, ხსენებული კომპარატული სახლების თავმჯდომარეები გაფრთხილებულნი არიან, რომ არ დაუშვან მსგავსი დარღვევები.



— მე ერთმა გადავარდუნე და თქვენ ამდენს ვერ გადმოგიბრუნებთა?!

# შოფრის ფიქრები

**მართ** შოფერი ბივი ვარ, თანაც მიკროავტობუსის. ზოგჯერ მძღოლსაც მენახიან, სულაც არა მწყინს! მძღოლი ვარ, მა რა?.. ამდენი ხალხი, საათაც მინდა, იქით მიმიყვას. ახლა თითოშებტ წო-მერზე ვიჯირ, პლუხანოვიდან სამბურთალოსკენ რომ დადის, დალა-ცვლი მარშრუტია, როცა მინდა, მაშინ გავლივარ გარაჟიდან. როცა მინდა, მაშინ შევდივარ. ვიტყვი — აუშუშლატორი დაუქდა. პაკიშეა დაეშვა ან სტარტერი არ იღებს და პაიდა!.. მგზავრები ყვირიან — რა ღროს გარაჟში წასვლაა, წინა მანქანაც გარაჟში წავიდა, რას ფიქრობთ?! უცნაური ხალხია ეს მგზავრები, რა უნდა ეიფიქრო? ვითომ მაგის მეტი საქმე არა მქვ, რომ ეგენი ვატარო?! ესენი პერერევი რომ გაეყოთ, იმას არ გიშვებენ. ვთქვათ, სალა-მოს ექვსი საათია და მე პერერევიზე გავჩერდი, ხელდა მომცვიე-ლებიან — ამ ღროს შესვენება ვის გავგონია, ხალხი სამსახურიდან მოდისო!.. იმდენი კი არ ესმით, რომ ისინი უკვე სახლში მიდიან, მე კი შუა მუშაობაში ვარ. მაშ, მე კოლო არა ვარ? მე არ მინდა დასვენება? მაგათ რომ ვუთურო, ყველაფერზე ყვირიან: ნუ აჩერებ, გაზეთს ნუ ყიდულობ, მალხაში ნუ შედიხარ, რა ღროს პაპი-როსიოთ, ნაცნობებს ნუ უჩერებ, დიღანს ნუ ელაპარაკები! მოკ-ლედ, მე ვითომ ადამიანი არ ვყო, მთელი დღე მანქანაში უხვიარ, მაშ რა ვქნა?

მაგრამ ზოგჯერ სასიამოვნო წუთებიცა გვაქვს. აი, მაგალითად, მარტო ჩემი ხელობის ცაქი მიხვდება, რა სიამოვნებაა, როცა მიხვალ ბოლო გაჩერებაზე და ხალხი მოგვარდება, გაუხარდებათ შენი მის-კლა, ხუმრობა საქმეა? ნახევარი საათია, გელოდებიან. მერე იცდი, რომ ავტობუსი კარგად გატენო („პლანის“ ამბავია) და დგახარ არხინად. მგზავრები ჭერ ჩემად სხედან, ლაპარაკი თავიცი არა აქვთ. ცოტა ხნის შემდეგ ერთი წამოიძახებს: — „პა, შოფერ, ღრო არ არის?“ მე ვითომ ვერ გავიგონე. მერე მთორე: — „შოფერ, დაგ-ეინა?“ მერე — ვისამე და იწყება კონცერტი. უცებ ვინმე გაბრა-ზებული დაიძახებს:

— „ამ ხალხს პატრონი არა ჰყავს, ასე რომ თვითნებობენ!“ — მე უკვე ვიცი, ეს ვიღაც თანამდებობის პირია. ახლა ხომ სამბურთა-ლოს მასივში ბევრი კარგი ვინმე ცხოვრობს, მაგრამ გუნებაში მე-ცინება — „პატრონი არა ყავთო?“, რას ნიშნავს, რომ გუნათლებ-ლები არიან. ვყავს და ერთი და ორი? მაგრამ საქმე ისაა, რომ იმ პატრონებს ყველას კუბები აქვთ. რამდენი უფროსი არ გამოვიც-ვალე, ვერც ერთი ვერ ვნახე უკუშო. თან ცოტა ვბრაზდები იმ ტიპზე: — „პა, ჩემი დანიანზე? შენ რომ ალოდინებ ხოლმე კახანე-ტონ, კარგია? მახლას!“ მერე უკვე ხალხის ყავანსა და გუგუნში გავიმართები სიღვინაზე და ჩავრთავ... უნდა ნახო, ეს აუყავნებუ-

ლი ხალხი როგორ ერთ წამში უწილება, ვითომც არაფერი და სი-ცოლსა და ხუმრობას იწყებენ. აი, ეს მომენტია რა, ყველა რა იტრუ-ნება და ვიცი, ეს სიამოვნება მე შეიანბნე, ყველაზე ძვირფასი წუ-თია ჩემთვის. არა, მგზავრი მაინც გულკეთილი ვინმეა, მაღლ ივიწ-ყებს წყენას, მხოლოდ ცოტა ნერვიულია. თუ ცოტა შეცვალე მარ-შრუტი, ვთქვათ, გზა შეამცირე რა, მაშინვე იყვირებს: — „ესეთი რამე გავინალო?!“ რად გადაუხვია, როგორც გინდა, ისე დადიხარ, სადაც ჩვენა ვდგევართ, იქ რატომ არ მოდიხარო?“ არც ესა მწყინს, არა ვბრაზდები. გაუშვი, გული მოიფხანოს! გუნებაში კი შეცინება, ჩემი გადახვევა ყველამ დანიანა, იმიტომ ყვირიან, თვითონ კი სა-სახურში სულ სწორი გზით დადიან, ვითომ? არ უხვებენ? იქნებ მე იმიტომ გადავხვები, რომ გზაა გაფუჭებული? ნელა, კაცო, ნუ გვანჯღრევო, ყვირიან ხოლმე. მე რა, ფანტომისის მანქანა შეავს, ამ ოლრონილო გზებზე სწორედ ვიარო? წლობით არი ქუჩები გა-დათხრილი და შეგკეთებელი არავინაა. მაშ, იმათი უფროსები რომ არ უხვებდნენ? გზას არ გააქეთებდნენ? მოკლედ, ყველამ თავის თავს მოუაროს! მე თუ ჩემი ჰია გაეახანე, დიდი საქმე! თანაც იმ დღეს ყური მოვკარი, მგზავრები უცმყოფილოდ ბუზუნდებდნენ. ცხრა საათის შემდეგ ავტობუსი თითქმის არ მუშაობს, თორმეტა-მდე მაინც არ უნდა იყოსო? ყელზე დაკვადებთ, ცხრამდე ვითომ რა ხეირს მაყრით, რომ ახლა თორმეტამდე ვიარო?! აი, ახლა ისე გავბრაზდი, ავდგები და სულაც გარაჟში წავალი! დისპეტჩერი? იმან რა უნდა მითხრას, ჩემით უღვას სული!

ჩაიწერა ირაპლი შიშინაძე



უხატველი



— შენ ავტობობლს რეცხავ და ჩვენ წუჭრვილით ვიხრიხით, ესაა მესობლობა?!  
— ზედაც, მოძრაობის წესებს არ იცავენ!  
— დაცული არის, ახა, რა, თავი არ გაძვრება!

# ფრთხილად გვაჯვარდინია!

წესრიგის მცველი არა დგას, — შიქრიხარა, არ გეშინია. — სფრთხილეს თავი არ სტყვია, —

აქ ხომ გვაჯვარდინია. ნელა იარე — ვინ მოგდევს? საფრთხე უყრს უკან საფრღება. მერე აღარა უშველის, როდესაც საქმე წახდება...


ფრთხილად გვაჯვარდინია!

ნ. შ. აბაშიძის



— ზედაც, მოძრაობის წესებს არ იცავენ!  
— დაცული არის, ახა, რა, თავი არ გაძვრება!

ფანჯრა „არკოლიდ“



— შენ, ბიჭო, მართლა რობოტი არ გეგონო, ხელ-საწყობებს ვუიღი

**რედაქტორი ზურა გომეზაძე**

საბეჭდო ოფისები: ზ. სიხარულიძე (ჩუბუკაძის მოედანი), ნ. შალვა-შიშინი (მხატვრული რედაქტორი), ვ. შალვაძე (საქ. სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე), ზ. შალვაშვილი (ჩუბუკაძის სახელმწიფო ავტონომიური სამმართველოს უფროსი), ვ. ციციშვილი (ჩუბუკაძის სახელმწიფო ავტონომიური სამმართველოს უფროსის მოადგილე), ა. შიშინი (თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს სახელმწიფო ავტონომიური სამმართველოს განყოფილების უფროსი), მ. კახიანი (თბილისის რედაქტორი).

მისამართი: 380008, თბილისი — 8, რუსთაველის პრისიპეტი, 42. ფონური: „რედაქცია“ (ტელ. 99-55-54; 92-19-42); 380005, თბილისი — 5, რეკლამის მისამართი: ს. სპირიდოვის სსრ შსს სახელმწიფო ავტონომიური სამმართველო (ტელ. 991-47-44; 991-40-64). საქართველოს კ. ც. ც. გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის, 14. 1984 წ. გვერდი: 1652. ტირაჟი: 10000 უც 00096

**შურნალ „ნიანგისა“ და საბარტოველოს სსრ შსს სახელმწიფო ავტონომიური სამმართველოს საბარტოველო-მედიკალური ბუკლეტი**



**ნიანგისა**

**მედიკალური ბუკლეტი**

**ავტონომიური სამმართველოს მხარე**

ალბათ თითოეულ თქვენგანს შეუძინებია ქალაქის ქუჩებში თუ საავტომობილო მაგისტრალზე წითელ-სამკლავოანი მოქალაქეები, რომლებიც სახელმწიფო ავტონომიური სამმართველოს ეკონომიკური განყოფილების მეთაურებს, პირდაპირ ავტონომიურებს, ესაუბრებიან მათთვის, რომლებმაც დააღივინეს საგზაო მოძრაობის წესები, უზნინიან მათ, რომ ყოველ ასეთ დარღვევას შესაძლოა მძიმე შედეგი მოჰყვეს: ისინი მუდამ მზად არიან დახმარება აღმოუჩინონ მოძრაობის უკვე დაზარალებულს და, ამავდროულად, გამოიჩინონ სიმკაცრე და უაღრესი პრინციპულობა ავტონომიურების მიმართ. ეს წითელ-სამკლავოანი მოქალაქეები სპეციალიზებული სახალხო ავტონომიურები არიან. მათი დახმარების გარეშე, სადღესობად, მხოლოდ სახელმწიფო ავტონომიური სამმართველოს, მართლაც შეუძლებელი იქნებოდა საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის საჭიროებების პრობლემის წარმატებით გადაწყვეტა.

კაცს პირად საქმეს რა გამოუვლეს, დროის ფასს და ყადრის ახლა ვისა დასწავლო, მაგრამ, როცა გული გულობს და სურთო-საზოგადოებრივი საქმიანობის გათვალისწინებით გაქვს, როგორც ეს კომპარტ მოქალაქის შემთხვევაში, შეუძლებელია განსჯა გულად და გულგრილი მწყურებლის რაღაც გამოხედვით, მით უმეტეს, როცა საქმე ეხება ჩვენს ქვეყანაში ყველაზე დიდ ფასეულობას — ადამიანთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას!

საზოგადოებრივი ფორმირება, რომელსაც თავდაპირველად საზოგადოებრივი ავტონომიურები ეწეოდა, ჩვენს რესპუბლიკაში 1962 წელს ჩამოყალიბდა მოსახლეობის ბრძანებით და იგი თავის რიგებში 200 წევრს ითვლდა.


და სადღესობად კი მათი რიცხვი წინააღმდეგობის და ენთუზიაზმითა ეს მრავალთარსიანი არმია ფსადღებულ დახმარებას უწევს ავტონომიური სამმართველოს უსაფრთხოების უზრუნველყოფის საჭიროებების დასაფრთხილებლად. მათი რიცხვი წინააღმდეგობის და ენთუზიაზმითა ეს მრავალთარსიანი არმია ფსადღებულ დახმარებას უწევს ავტონომიური სამმართველოს უსაფრთხოების უზრუნველყოფის საჭიროებების დასაფრთხილებლად.

და სადღესობად კი მათი რიცხვი წინააღმდეგობის და ენთუზიაზმითა ეს მრავალთარსიანი არმია ფსადღებულ დახმარებას უწევს ავტონომიური სამმართველოს უსაფრთხოების უზრუნველყოფის საჭიროებების დასაფრთხილებლად.



ავთანდილ გორდუნიანი

КОНТРОЛЬНЫЕ  
АНКЕТЫ



— ჩვენი დირექტორი ისეთ კრებებს დგამს, რომ ჩვენი ტრესტი ნაღდად სახალხო თეატრად გადაკეთდება!

### თბილისის ზღვის „ფილიალი“

ჩელუსპინელის ქუჩის № 19-ში მდებარე ფებსაცემლების № 25 მაღაზია, ერთის შეხედვით, არაფრით გამოირჩევა სხვა მაღაზიებისაგან. ისევე, როგორც სხვა სავაჭრო დაწესებულებებში, აქაც შედის და გამოდის ხალხი. ზოგი ნავაჭრით კმაყოფილი ტოვებს მას (რაც იშვიათობას წარმოადგენს), უმეტესობა კი უკმაყოფილოდ აქცევს ზურგს. ბუნებრივია, იბადება კითხვა — რატომ?

მიტომ, რომ ფებსაცემელთა უმეტესობა ნესტისაგან დეფორმირებულია..

მაღაზიის სარდაფში, სადაც ათასობით მანეთის საქონელი ინახება, მიწიდან დიდი რაოდენობით წყალმა ამოხეთქა. სარდაფში ჭერ მუხლამდე აღდგა წყალი. მაღაზიის მუშაკებმა ამას ადვილად გაართვეს თავი — რეზინის ჩექმები ჩაიცვეს. შემდეგ, როცა წყლის დონემ აიწია, მაღაზიაში მუშაობისათვის ცურვა აუცილებელი პირობა გახდა. ცურვა მალე უცინთაობამ შეცვალა, ხოლო სულ მოკლე ხანში აკვალანგების შემოღება გახდა საჭირო. ნავსადგური და სანაპიროს მოპირკეთებლად აკლია თბილისის ზღვის „ფილიალი“, რომ ზღვათა რიცხვში ჩადგეს.

ფებსაცემლის № 25 მაღაზიის მუშაკებმა დახმარებისთვის არაერთხელ მიმართეს ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონის აღმასკომსა და სახლმშარ-თველობას, რომელსაც ხელშეკრულებით საიჯარო ქირას უხდის. თხოვნა ისევ თხოვნად რჩება, საქმე კი ადგილიდან არ იძვრის. ამასობაში სავაჭრო საქონელი ფუჭდება, ზარალი კი იზრდება..

გარდა № 25 მაღაზიისა, რომელსაც მრავალსართულიან სახლში მხოლოდ პირველი სართული უკავია, სავალალო მთელი შენობის ბედიც. მიწიდან ამოსული წყალი ძირგამომთრელია. აქ მცხოვრებნი წუხილითა და გულის ფანცქალით ელიან, როდის ჩაიჩოქებს მათი მშობლიური სახლი და როდის დაიმტვრევს ცხვირ-პირს ჩელუსკინელების ქუჩაზე..

დ. მახსიზვილი

თუ არ შევიძლია გაუკეთო, დაპირდი მაინც! ბიზანტიელი მოხელეების სუმრობა

მისწვთ ჩემს დაბადებაში ნურავის დაბან-შაულებთ! ტასმანიელ ჩვილთა სუმრობა

თუმცა რქენია ქროხები კარგი მეწველები არიან, მაინც თვინიერების წველას ამჯობინებენ. ნორვეგიული წიგნიდან — „ძროხის რძე, ძროხის ხასიათი“

ჩვენ ყოველთვის ვეშთ პატივს სხვის აზრს, თუ ის საკუთარში ვვარწმუნებს. რუდი მილი (ავსტრიელი ფილოსოფოსი)

ყველაზე სახიფათოა უპრინციპო პრინცი-პულობა. უპრინციპო პრინციპულობის პირველი პრინცი-ციპი

სანამ შეასრამუნებდეთ თქვენს ქვეშევრ-დომებს, გირჩევთ, ჯერ კარგად დაბეჯეთ! ამერიკული ბროშურიდან — „მენაჯერის დიეტა“

ჟურნალ „კოკოლიდიდან“ თარგმან

სულხან ჯორჯანელმა

### არითმეტიკული ამოცანა

მატარებელი დანიშნულ დროზე გამოვიდა A პუნქტიდან და ჩავიდა B პუნქტში 4 საათის დაგვიანებით. ამოცანა გვეკითხება, რომელი მარშრუტის მატარებელზეა ლაპარაკი? არ დაგავიწყდეთ, რომ ამოცანას მრავალი ამოხსნა აქვს!

### ახალი აღმოჩენა

დიდი მეცნიერული მუშაობის შედეგად გაეყიდვებოდა გიგო თითიაშვილმა ექსპერიმენტულად დაასაბუთა მექანიკის ოქროს კანონი, რომელიც ახლა ასე გამოითქმის: „რამდენჯერაც ვივებთ წონაში, იმდენჯერაც ვივებთ სურდაში!“

### ტელებიკვი გვაპყრობინებს

ბინების რეკორდების წიგნში მოხვედრი-სათვის სულ ცოტა 20 ადამიანი დააკლდა ჩვენს თანამემამულე ალუდა ქაფიანიძეს, რომელმაც შვილს გადაუსხა 3250-კაციანი ქორწილი. ძველი რეკორდი, რომელიც ეკუთვნის ინგლისის მეფეს პენრი მეორეს, ძალაში დარჩა.

### ჭაფარბიჭავის ძიებაში

საინტერესო შედეგებს მიაღწიეს შურახის გაეყიდვებებმა რიცხვთა თეორიაში. მათ შესანიშნავად დაამტკიცეს, რომ სამი უდრის სუოს, ხოლო ექვსი ტოლია ათის. თუმცა კაპიკებზე არავინ დაუბნ!

### ვინ რა თქვა...


რაჭველმა: „იცინის ის, ვინც ბოლოს იცი-ნის.“

მეფეოვამ: „ახალი ცოცნი კარგად გვის.“  
რეპეტიტორმა: „პინგვინებს შემოდგომაზე მოვლიან.“

გალხაე ცოტაძე



ნახ. 0. უპინაშპილისა



უხიტყვოდ

ზოგთა ენა ვერ აღესონ  
ჩვენს ღვინოთა გინებაზე!  
გვარებს — ღვინიანიძესა,  
ღვინიაშვილს, ღვინეფაძეს

ძარღვში გვიდულს დასაბამით  
ურჯულთა შერკინებად!  
ჩვენს ღვინოთა შეგინება  
ნიშნავს გვართა შეგინებას!

ან სხვა ჯურის ვინ გვერია?  
ფუძით ერთურთს მიჯრილია:  
ღვინიაშვილს — ღვინერია,  
ღვინეფაძეს — ღვინჯილია!..

და ქართული ღვინის ცაზე  
როს ასეთი ტაროსია,  
გაფრთხილებად გვირევიან  
ერთი გვარიც — წყაროზია!

სერგო ფაცაცია  
(გეგეჭკორის რაიონი)

# პარტული სალხური იუმორი

სალხურის სტადიონზე მახარა-  
ძელმა ფესბურთელმა ძალზე შორი მანძი-  
ლიდან გაიტანა ბურთი მასპინძელთა კარში.  
— რაზე წუნდებოდი, ბიძია, ბარემ მახარა-  
ძიდან დაგერტყა, შენც მოიხვეწებდი და  
ჩვენც! — უსაყვედურა მახარიამ გოლის გას-  
ტანს.  
— რატომ დიგვიანა მაყრიონმა? — ჰკით-  
ხეს შეზარხოშებულ მახარიას.  
— თამადა ენაბლუ ჰყოლოდათ და სუფრა  
გაგვიგრძელდა!..  
— მახარიამ ნაცნობ კომპინატორს ეწ-  
ვია სასლში. მასპინძელი რატომღაც ჩაბნე-  
ლებულ ოთახში იჯდა.  
— ეწვევი სომ სიბნელეს? — უთხრა მახარ-  
იამ მისალმების მაგივრად.  
— მივლინებაში მყოფი მახარია ტე-  
ლეფონით ელაპარაკება მეუღლეს.

— მახარია, ისევ ნახვამი ხარ?! — საყვე-  
დურით ჰკითხა ცოლმა.  
— არ მითხრა ახლა, ღვინის სუნი მცე-  
მსო! — გაცხარდა მახარია.  
— კაცო, შენი სახელი დამაგიწყდა!  
— პასპორტში ივანე მიწერია, ისე კი  
ჩემი ცოლი ხუთ სახელს მეძახის.  
— ვე როგორ?  
— ხელფასის მიტანის პირველ ხუთდღი-  
ურში ივანე ალექსის ძე ვარ, მეორე ხუთ-  
დღიურში — ივანე, მესამეში — ვანო, მეო-  
თხეში — ვანე, თვის ბოლო დღეებში კი —  
ვანა...  
— მეგრელი და გურული რესტორანში  
შევიდნენ. მოატანიეს ვრბო-კვერცხი. გუ-  
რულს არ მოეწონა.

— ნახე, ძამა! აი კვერცხი უკვე წიწილად  
ქცეულა და შერე შეუნვათ, მგონი! ახლავე  
დაუქაშებ მომტანს და ტყავს გვაძირობ!  
— განურდი, თუ ძმა ხარ! არ გაიგონოს  
იმ მომტანმა, თორემ კვერცხს ცალკე გვიან-  
გარიშებს და წიწილას — ცალკე!  
— დიდ ქვებ მჭირდება, აბიკავ! დიდ ქვებ  
არ გაქვა?  
— მაქვ, მაგრამ ყურებ არ აქვ.  
— ყურებ კი რაად უნდ, ვანა ლექსს  
ულექსებ. სორც უნდა ვადულ.  
— ცოლ-ქმარამ მისომ და მარომ  
ფრანგულ ყაიდაზე ცხოვრება ვადაწვევითეს.  
— მიშელ! — მიმართავს მარო.  
— რაო, მალიო? — უპასუხებს მისო.  
— ყავა დავლიოთ?  
— ჰო, მალიო!  
ერთი კვირის შემდეგ:  
— მიშელ, დავლიოთ ყავა?  
— დედაკაცო, მიდი და ახლავე ლობიო  
დააადგი, თორემ!..  
შეკრიბეს რამინ გოგონია  
(წალენჯიხა)  
და ივანე ჯაპანისიშვილი  
(თბილისი)  
ილუსტრაციები ჯ. ლოლუასი

# შეხვედრა აკომუნაციის გავლენის შესახებ

საქართველოს  
საბჭოთაო  
საგარეო  
აღმართობის  
საქართველო

## იუმორისა

ამ დღეებში ჩვენი კორესპონდენტი შეხვდა არაისტორიულ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ღვთისო კაიმიძე-ლაშვილს და რამდენიმე შეკითხვა მისცა მას.

**კორესპონდენტი:** — ბატონო პროფესორო, რა აზრის ხართ საერთოდ არგონავტებზე?

**პროფესორი:** — ზოგ-ზოგს მიაჩნდა „არგო“ ნავტიკად და ასე ხსნიდნენ არგონავტიკას, მაგრამ მე დავამტკიცე, რომ იგი ორმოც-დაათხოფიანი გემი იყო.

**კორესპონდენტი:** — რა შეფასებას აძლევთ „არგოს“ პირველ კიზიტს აია-კოლხეთში?

**პროფესორი:** — უდიდესს! „არგოს“ მოხელა აიაში 33 საუკუნის წინათ — ეს ისეთი ფაქტია, რომელიც არცთუ გაკვირთ (მტრებს კი ყურის ძირში გაკვირთ) შეგვახსენებს, რომ ქართველები ისტორიის მარაგებით ძალზე შორიდან მოვიდვართ და რომ ქრისტეს დაბადებამდე 1500 წლით ადრე უკვე განადლებული გვექონდა მსოფლიო სახელი.

**კორესპონდენტი:** — მამატიეთ, მაგრამ უნდა შეგახსენოთ, რომ თქმულებაში ამის შესახებ არაფერი წერია.

**პროფესორი:** — მართალია, მაგრამ ასეთ დასკვნამდე შექვეტქსტების გამოწვლილვით მივდივ. ქალღმერთმა ნუფელემ როცა გადაწყვიტა, ფრიქსე და პელე დედინაცვლის კლანჭებიდან ეხსნა და საიქმლო ხალხის ჭურჭეშე შეეფარებინა, უწინ კოლხეთი გაახსენდა. რატომ? იმიტომ, რომ მამინვე გამოვიჩნეოდით მსოფლიოში ჩვენი გულმართლობით, გულკეთილობით, გულადობითა და გულმოწყალებით. პოდა, ქალღმერთის მიერ გამოგზავნილმა ვერძამც შეისვა ზურგზე და-ძმა და კოლხეთისკენ გამოაფრინა.

**კორესპონდენტი:** — ბატონო პროფესორო, ხომ ვერ გვეტყოდით, ვისი იყო ოქროსმატყლიანი ვერძი?

**პროფესორი (გაოცებული):** — ამას რა დიდი მისხვედრა უნდა? ყოველი ცხოველი, სადაც უნდა გაუშვა, უტყუარი ალლოთი იგნებს გზას შინისაკენ. აქედან დასკვნა: ცხვარი კოლხეთის მეფემ ზვარჯხად მიართვა ქალღმერთს.

**კორესპონდენტი:** — ჩვენ ვიცით, რომ პელე ვერძის ზურგიდან გადმოვარდა და ზღვაში დაიხრჩო, და მხოლოდ ფრიქსემ მოაღწია კოლხეთს. სწორად მიიჩნევთ თუ არა მეფე აიეტის ნაბიჯს — უცხოელისათვის მიეთხოვებინა თავისი ასული?

**პროფესორი:** ეს უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის ფაქტია. წარმოიდგინეთ, ჩვენმა სახელმწიფომამა მეფემ, მიუხედავად სასიძოს ეროვნული და სოციალური წარმოშობისა, სარწმუნოებისა და პოლიტიკური შეხედულებებისა, ქონებრივი და გონებრივი ცენზისა, მაინც დაინიძევა ფრიქსე. ეს განსაკუთრებით, ინტერნაციონალიზმისა და უკიდურესი დემოკრატიზმის გამოვლინების უპრეცედენტო შემთხვევა ისტორიაში.

**კორესპონდენტი:** — რით ხსნით, რომ აიეტს ვერძის ოქროს-მატყლიანი ტყავი, ანუ საწმისი, არეის ჭალაში ხეზე ჰქონდა ჩამოკიდებული და არა განძსაცავში ჩაკეტილი?

**პროფესორი:** — ქართული ხასიათით. ეს დაუდევრობისა და ბედოვლათობის ნიშნად მიჩანს. ალბათ თესალიის მეფის ყურამდეც მიადგინა ამ ამბავმა, რაკი მან თავისი ძმისწული იასონი გამოგზავნა საწმისის წასაღებად.

**კორესპონდენტი:** — ქართველი ქალის ხასიათის რა ნიშნებს ხედავთ მედას საქციელში?

**პროფესორი:** — მეფე აიეტს ისედაც ვმეტყობოდა სტუმრისათვის საწმისი, როგორც გულზე მასპინძელს, ოღონდ მისი საზრია-ნობის გამოცდა ეწადა და იმიტომაც შეუდგინა კროსვორდები, ამოხსნი და საწმისსაც წაიღებო, უთხრა. იასონს გაუჭირდა ზედიზედ სამი კროსვორდის ამოხსნა, მედა მხარში ამოუდგა სატრფოს. მოგესხენებო, დიდ სილაპაჯვისთანავე ერთად, დიდი გონიერებითაც გამოიჩინოდა კოლხთა მეფის ასული და გარდა კროსვორდებისა, საჭადრაკო ეტიუდებსაც ხსნიდა. სწორედ აქ ვხედავ ქართული ხასიათის ერთ-ერთ ნიშანს, რამაც შემდგომში ასეთი განვითარება ჰპოვა და საჭადრაკო ოლიმპიადე აგვამაძლავა. მეორე ნიშანი კი ის განსაკუთრებული შემდგომში, როცა იასონის მეუღლე გახდა, მან მხოლოდ ზრდი შეიღი იყოლია.

**კორესპონდენტი:** — რას გვეტყოდით დღევანდელი „არგოს“ ლაშქრობის მიზანზე საქართველოში?

**პროფესორი:** — ამ ექსპედიციას უნდა გავცა პასუხი სამ მთა-

ვარ კითხვაზე: შეიძლება თუ არა, რომ საქართველოს მართლა ჰქონოდა ოქროს საწმისი და ჰყოლოდა პირმშვენიერი მედა. და კიდევ: შეეძლო თუ არა მედას, დაეხსოვა საკუთარი შვილები. პასუხები კი, მოვეხსენებოთ, ორგვარია — დადებითი და უარყოფითი.

**კორესპონდენტი:** — ტიმ სვეერინმა და მისი „არგოს“ ეკიპაჟმა როგორი პასუხები მიიღეს?

**პროფესორი:** — ორი დადებითი და ერთი უარყოფითი. იყო თუ არა ოქროს ვერძი, ამაზე სენეთის გოროზმა თებებმა, ოქროქვიშინმა მდინარეებმა, ფსკერზე ჩაფენილი ვერძის ტყავებით, მუხუ-მუხუში დავანებულმა იშვიათმა ექსპონატებმა გასცეს დადებითი პასუხი და კიდევ „შავი ოქროს“ — მარგანცისა და ქვანახშირის მარაგმა, „მწვანე ოქროს“ — ჩაის ზვინებმა, კიდევ ოქრომ თავისი პირველადი ფერით — ციტრუსებმა, ზვრების ქარვა-ხვითომ, ბაღების ლალსადაფმა.

**კორესპონდენტი:** — უარყოფითი პასუხი რაზეა, განა მედაზე?

**პროფესორი:** — როგორ გეკადრებოთ! თანამედროვე არგონავტები მოიხიბლნენ მასპინძელთა გულითადობით, ქართულ ვაჟაკთა ახოვანებითა და ასულთა სილამაზითა და გონიერებით, ნახეს მედა



მეზვერე და მედა მეჩაიე, მედა ექიმი და მედა მასწავლებელი, მედა მეცნიერი და მედა მსორტსმენი და აღარ იცოდნენ, რომლისთვის მიეცათ უპირატესობა.

და დარწმუნდნენ, რომ მხოლოდ აქ, ქართულ მიწაზე შეიძლება შობილიყო მედა.

**კორესპონდენტი:** — უარყოფითი პასუხი რაღაზე მიიღეს?

**პროფესორი:** — ტიმ სვეერინმა და მისმა თანამოლაშქრეებმა ჩვენი ბავშვებიც ნახეს — ია-იები და ნარგიზები, ბუტყუნები და თმაქოჩორები, ნახეს ისიც, თუ როგორ დასდევდნენ უკან ამ ბავშვებს დედები, ბებიები და დიდლები ჯამით, თეფშით, მათლაფით, კოვზით სელოში და როგორ აძალებდნენ საჭმელს.

ნახეს და საბოლოოდ დარწმუნდნენ, რომ მედას არასოდეს ფიქრადაც არ მოუვიდოდა შვილების წინააღმდეგ აღმართა სხვა რამ იარაღი, გარდა კოვზისა!

აი, ეს განსაკუთრებული უარყოფითი პასუხი. გამდლობთ ყურადღებისათვის!

პროფესორ ღვთისო კაიმიძე-ლაშვილს ესაუბრა მერაბ ელგუჯაური

ილუსტრაციები დ. ზარაფიშვილისა

731  
26. XI 1984



ავთანდილ ივანის ძე ალშიბაიამ, 25 წელს მიღწეულმა, უიმედობა და სასოწარკვეთილებაში ჩააგდო მშობლები. არც ცოლ-შვილს მოეკიდა, არც სადმე დაიწყო მუშაობა. სამაგიეროდ დაუმეგობრდა მასავით ხელუკუღმართ ნაპირი ილიკოს ძე აბშილაშას. ავთანდილმა და ნუკრიმ გაქურდეს ქ. ზუგდიდში გ. ვვილაშას საცხოვრებელი ბინა, საიდანაც 1418 მანეთი გაიტაცეს.

იმარჯვა გ. ვვილაშამ, ქურდები დააკავა და მათგან ათასი მანეთი კი ამოიღო. მერე ნ. აბშილაშა მიიშალა, რის გამო მისი საქმე ცალკე ძიებისათვის გამოიყო. ა. ალშიბაიას კი ზუგდიდის სახალხო სასამართლომ ოთხი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, თანაც დაზარალებულის სასარგებლოდ 418 მანეთის გადასხდა დააკისრა. მიმალული ნ. აბშილაშას ძებნა წელიწადზე მეტია გრძელდება. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ იპოვნიან და სათანადოდ დასჯიან.

გენიაშიც ვლადიმერის ძე ბალუსტიანი, „კავკაზელექტრომშენის“ საწარმოო კომბინატის მუშა. ღამით თავს დაესხა შინ მიმავალ ნათელა თვაურს და ნიკოლოზ სტეფანის. ამ ახალგაზომცხვარმა ყაჩაღმა ნათელას 100 მანეთი წაართვა, ნიკოლოზს - 150 მანეთი და მას ტყავის პალტოს გადაც მოუნდომა, მაგრამ მსხვერპლი გაქცა.

ბ. გალუსტიანი მალე შეიპყრეს. მას გლდანის სახალხო სასამართლომ შეიძწლიანი „მივლინება გამოუწერა“ შრომა-გასწორების კოლონიაში საპატიმრო ვადის მოსახდელად.

როლანდ გრიგოლის ძე ოსიპოვამ და გელა ლავრენტის ძე შაქიშვიამ ახალციხეში სპორტულ შეკრებაზე ყოფნისას ანსამბლ „მხედრულის“ წევრები გაქურდეს. გაიტაცეს ელექტროსაპარსები, ბოტასები, სიგარეტები, მაგნიტოფონის კასეტი, სპორტული ჩანთა, ჯინსის შარვალი... ამით ამ 17 წლის ბიჭებმა თავიც შეირცხვინეს და მშობლებსაც თავზარი დასცეს.

დამნაშავეები ქ. თბილისის პირველი მაისის რაიონის სახალხო სასამართლომ გაასამართლა. თითოეულს ორი წლითა და ექვსი თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა სასჯელის არასრულწლოვანთა საერთო რევიმის შრომა-აღზრდის კოლონიაში მოხდით.

შაშული კალენიკოს ძე რობაქიძე, გორის გორისის ძე სოფტარის, რეზო ალექსანდრას ძე შოიავა და ნუგზარ შოთას ძე გოგია შეთანხმდნენ, რათა ფეთქებადი ნივთიერება ემთავთ. ღმერთმა იცის, რა მიზნით! შესაბამისად ისინი მუშაობდნენ ფოთის „საქნაეთობგეოფიზიკის“ ერთ-ერთი სეისმური პარტიის უფროს ტექნიკოს-ამფეთქებლად, ფოთის № 1 ავტოკოლონის მძღოლად, ჟოთავარობის კაფე „მეგობრობის“ გამგედ და გემთშემკეთე-

ბელი ქარხნის მუშად. მათ შეიძინეს ფეთქებადი ნივთიერება და ერთი თვის განმავლობაში ინახავდნენ უნებართვოდ. ეს ოცო ორი ცალი 5-კილოგრამიანი ფეთქებადი ნივთიერების სხმული ტროტილის მუსტი, 10 ცალი კაფსულ-დეტონატორი.

დამნაშავე „ამფეთქებლებს“ არ დასცალდათ მათი გამოყენება, ვინაიდან ისინი მილიციის მუშაკებმა აშხილეს და პასუხისგებაში მისცეს. ქ. ფოთის სახალხო სასამართლომ შ. რობაქიძეს, ბ. სოფტარისს, რ. შოიავას და ნ. გოგიას 2 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა თითოეულს.

შირიმი ჭიჭიკოს ძე არახსამიას, სისხლის სამართლის მძიმე დანაშაულის ჩადენის შემდეგ რომ მიიშალა, ვერავითარმა შირმამ და უჩინმაჩინის ქედის დახურვამ ვერ უშველა. იგი მილიციის მუშაკებმა შეიპყრეს და წალენჯიხის სახალხო სასამართლოს წარუდგინეს, როგორც მკვლეელი და სამჯერ ნასამართლევი.

სამსჯავრო გამოძიებამ ცხადყო, რომ შ. არახსამიამ ზუგდიდელ ნ. ქარდავაშას 5.000 მანეთი ისესხა, რომელსაც აღარ უხდიდა. ბოლოს ამ ფულის სათხოვნელად მასთან ბინაზე მივიდა ნ. ქარდავაშა შვილი დემურ ქარდავაშა და სესხის დაბრუნება სთხოვა. იმის ნაცვლად, რომ ვალი გაესტუმრებინა, შ. არახსამიამ დ. ქარდავაშა თოფით მოკლა. სასამართლოს განაჩენით შ. არახსამიას 11 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა სასჯელის შეკერი რევიმის შრომა-გასწორების კოლონიაში მოხდით.

ამ თავზე ხელაღებულმა მკვლეულმა საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოს, რომელმაც სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის № 210 განჩინებით საჩივრის მოთხოვნაზე უარი თქვა. მართლაც, ამკარა მკვლეელი როგორ უნდა შევიწყალოთ?!

ოთარ პარმენის ძე ოქუჯაშას და გურამ მელენის ძე ბასოქია გეგეჭკორის რაიონიდან დასასვენებლად ჩავიდნენ კურორტ აბასთუმანში. აქ გაიცნეს დამსვენებელი აზიზ საფაროვი, რომელიც დაათურეს და მერე გაქურდეს. ნაქურდალის გაყოფაზე ჩხუბი მოუვიდათ. ო. ოქუჯაშას ბ. ბასოქიას დანა ჩასცა მუცელში, დაჭრილი მიატოვა და გაიქცა...

„დამსვენებელი“ ქურდები გაასამართლა ადიგენის რაიონის სახალხო სასამართლომ, რომელმაც ო. ოქუჯაშას და ბ. ბასოქიას (ექიმთა ჩარევით რომ გადარჩა) შეიდ-შვიდი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა სასჯელის გაძლიერებული რევიმის შრომა-გასწორების კოლონიაში მოხდით და ქონების კონფისკაციით.

გურჯაანისა და ლაგოდეხის რაიონების ბაზაზე „დაკომპლექტდა“ პირუტყვის ქურდების ჯგუფი, რომელშიც შევიდნენ: არსენ გივის ძე კუქუჯანაშვილი, როგინგონ როვანის ძე გოდლოციშვილი, გივი იორაშის ძე თუთაშვილი, გიორგი გალაქტიონის ძე გველესიანი, გიორგი ჭიტას ძე კანდელაკიშვილი და კუზნ. ოდლი ფარსრადინ სალილოვი. ისინი საშკაროზე გამოიყვანეს მილიციის მუშაკებმა. ბოროტ-მოქმედებმა საერთო ჯამში გაიტაცეს 12 ცხენი, 6 ძროხა, 34 ცხვარი, ერთი მოტოროლერი, რითაც სახელმწიფოსა და კერძო პირებ 18 ათასზე მეტი მანეთის ზარალი მიაყენეს.

გურჯაანის რაიონის სახალხო სასამართლომ საქონლის ქურდებს სხვადასხვა ვადით მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა, რაც საერთო ჯამში 24 წელიწადსა და 6 თვეს შეადგენს. სასამართლომ ყველა მათგანს მიუსაჯა ქონების კონფისკაცია.

ს. ხვამელი



### ნიანგი

სატირისა და იუმორის ყუ-  
რნალი „ნიანგი“ № 20  
(1678) ოქტომბერი. გამო-  
დის 1923 წლის ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი  
ზაურ გოლშევაძე

სარედაქციო კოლეგია:

**ავთანდილ ადგიშვილი**  
(პასუხისმგებელი მდივანი),  
გუბუა ამირჯანი, ნომადი  
ბართაია, ბორის გურგუ-  
ლია, რევაზ თვარაძე, ჩე-  
მალ ლოლუა, ნოდარ მალა-  
ზონია (მხატვარ-რედაქტო-  
რი). ალექსანდრე სამხონია,  
ბეჟან სინარულიძე (მთავარი  
რედაქტორის მოადგილე),  
ჯანსუღ ჩარკვიანი, თამაზ  
წიფწივაძე, ნაფი ჯუსოიითი.

ტექნიკური რედაქტორი  
მინიელ კუხალაშვილი


გადაეცა ასაწყობად 27. 9.  
84 წ. ხელმოწერილია დასა-  
ბეჭდად 31. 10. 84 წ. ქალა-  
კის ზომა 60 x 90<sup>1</sup>/<sub>8</sub>  
ფიზიკური ნაბეჭდი ფურცე-  
ლი 1,25, სააღრიცხვო-საგა-  
მომცემლო თაბახი 1,7, სა-  
ქართველოს კვ ცვ-ის გა-  
მომცემლობა, ლენინის, 14.  
შეკვეთა № 2194 უფ 06785  
ტირაჟი 138.300. ჟურნალი  
გამოდის თვეში ორჯერ.  
რედაქციაში შემოსული მა-  
სალები ავტორებს არ უბ-  
რუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 380008,  
თბილისი-8, რუსთაველის  
პროსპექტი № 42.

**ტელეფონები:** მთავარი  
რედაქტორის — 99-55-54,  
მთ. რედ. მოადგილის —  
93-19-42, პ/მგ მდივნის —  
93-10-78, მხატვარ-რედაქ-  
ტორის — 99-02-38, გან-  
ყოფილებათა გამგეების —  
93-49-32, რედაქტორ-ლიტ-  
მუშაკების — 99-02-38,  
მდივან - მემანქანის —  
99-76-69.

სატირიკო - юмористиче-  
ский журнал «НИАНГИ»  
(На грузинском языке)  
Тбилиси, пр. Руставели  
№ 42. Издательство ЦК  
КП Грузии, Типография  
издательства ЦК КП  
Грузии, Тбилиси, улица  
Ленина № 14.

შპსი 80 პაპიბი  
086431 76137



**КОНТРОЛЬНЫЕ  
ЭКЗЕМПЛЯРЫ**